ჩუნგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანი!

ოლხეთი

სენაკის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გაზეთი

2018 წელი № 10 16-31 მაისი (9433) ფასი 40 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

დამოუკიდებლობის 100 წლისთავი სენაკში

26 მაისი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია, რომელიც 1918 წლიდან იღებს სათავეს.

2018 წლის 26 მაისს სრულიად საქართველო და რა თქმა უნდა სენაკის მუნიციპალიტეტი ზეიმით აღნიშნავს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეს. საიუბილეო თარიღს მიეძღვნება მრავალფეროვანი და თემატურად დატვირთული ღონისძიებები.

- 10 საათიდან ცენტრალურ მოედანზე დაიწყება თავდაცვის სამინისტროს სენაკის ბრიგადის შეიარაღებული ძალების სამხედრო ტექნიკის გამოფენა.
- კინოთეატრის წინ მოეწყობა ფოტოგამოფენა დამოუკიდებლობის თემაზე.
- ცენტრალურ ქუჩაზე გაიმართება მსვლელობა ქორეოგრაფების, სპორტსმენების, სამუსიკო სკოლის მოსწავლეების, სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების, ახალგაზრდობის ცენტრის ბავშვების მონაწილეობით.
- საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდება მერაბ კოსტავას დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება,
- ცენტრალურ პარკში მოსწავლე ახალგაზრდობის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართება სპორტული აქტივობები სხვადასხვა სახეობებში.
- სენაკში მოქმედი კვების ობიექტების მიერ ახალგაზრდობის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა კულინარიული გამოფენა.
- მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის დარბაზში ნაჩვენები იქნება დოკუმენტური ფილმი „ექვთიმე ღვთისკაცი“.
- ჟიული შარტავას ბიუსტის წინ გაიმართება ქორეოგრაფიული კონცერტი ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით.
- საღამოს თეატრის წინ ჩატარდება გალა კონცერტი.
- დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს დაასრულებს ლამაზი ფოიერვერკი, გაშვებული იქნება ფრანები.

„სენაკი არტ-ფესტი" საზეიმოდ გაიხსნა

15 მაისს, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის საკონცერტო დარბაზში, „სენაკი არტ-ფესტი " საზეიმოდ გაიხსნა. სენაკის მუსიკალური ფესტივალი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის პატრონაჟით და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, უკვე მე-6 წელია ტარდება. იგი, საქართველოს მასშტაბით, უნიჭიერესი ნორჩი მუსიკოსების გამოვლენას და მათ პროფესიონალებად ჩამოყალიბებას ემსახურება. ფესტივალი, მისი მხატვრული ხელმძღვანელისა და ჟიურის თავმჯდომარის, მსოფლიოში ცნობილი პიანისტის, პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების მრავალგზის ლაურეატის, ხელოვნების აკადემიის რექტორის ვალერიან შიუკაშვილის მიერ მუსიკალური ნაწარმოებების ვირტუოზული შესრულებით გაიხსნა. მსმენელის აღაფრთოვანება ასევე გამოიწვია ახალგაზრდა ბათუმელი მუსიკოსის საბა მიქელაძის შესრულებამ. ფესტივალის გახსნისადმი მიძღვნილ საღამოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სენაკი არტ-ფესტი" 10 დღე გაგრძელდება და 25 მაისს საზეიმო კონცერტით დასრულდება.

აქცია „ღამე მუზეუმში" ნოქალაქევის არქეოლოგიურ კომპლექსში

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის და მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, აქცია „დამე მუზეუმში" პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე ჩატარდა. ღონისძიებას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე, პროფესორი დავით ლომიტაშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერაია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მუზეუმი, როგორც ბევრგან საქართველოში, დამთვალიერებლებს სრულიად უფასოდ მასპინძლობდა - ვიზიტორები თავად გახდნენ იმ კულტურული ღონისძიებების მონაწილენი, რომლებიც აქციის ფარგლებში ჩატარდა. დია სივრცეში, ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის ტერიტორიაზე, გაიმართა კონცერტი ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლების, „კოლხური ტრიოსა" და მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის აღსაზრდელების მონაწილეობით. ასევე, ცენტრთან არსებული ახალგაზრდული თეატრის - „ფიროსმანის" მსახიობებმა წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია: „მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა". განსაკუთრებულ განწყობილებას ქმნიდა საგანგებოდ დანთებული კოცონი. საღამო ზეცაში აშვებულმა მანათობელმა ფრანებმა და ულამაზესმა ფოიერვერკმა დაასრულა. აღსანიშნავია, რომ მუზეუმების დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში,

სენაკის ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში მოეწყო შემდეგი აქტივობები: გაიმართა საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ვიდეომასალის, ასევე, ვიდეოკოლაჟის - „ქვის ხანის ტექნოლოგია" ჩვენება. აქვე დამთვალიერებლებს მასპინძლობდა გამოფენა - თექა და გობელენი. ახალგაზრდული თეატრის - „ფიროსმანის" მსახიობებმა წარმოადგინეს მუზეუმების ჩამოყალიბების ისტორია. ამავე სამუზეუმო სივრცეში მოეწყო მსოფლიო მუზეუმებისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა და არნოლდ ჩიქობავასა და თეოფანე დავითაიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალების გამოფენა. აქციას „დამე მუზეუმში" - საფუძველი ჩაეყარა 2005 წელს ევროსაბჭოს მიერ და მას შემდეგ რეგულარულად ტარდება ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში. მოგვიანებით, აქციამ ფართო მასშტაბი მიიღო და გავრცელდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. აქციის „ღამე მუზეუმში" ტრადიციად დამკვიდრების ინიციატივით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო 2015 წელს გამოვიდა. 2016 წლის 21 მაისს, საქართველოს თითქმის ყველა მუზეუმი დამთვალიერებელს ღამის 1 საათამდე მასპინძლობდა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან
ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური

95 წელი-დროთა სვლაში შექმნილი მაციანე

გაზეთ „კოლხეთს" 95 წლის იუბილე არ აღუნიშნავს. 1 მაისს რედაქციის სამუშაო ოთახში მოეწყო არქივში დაცული წინა წლებში გამოცემული გაზეთებისა და ფოტომასალების გამოფენა. „კოლხეთს" 95 წლის იუბილე მიულოცეს სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა, კულტურის დარგის მუშაკებმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის და დასავლეთ საქართველოში გამომავალი პერიოდული გამოცემების ჟურნალისტებმა. შტატგარეშე კორესპონდენტებმა, გაზეთის მკითხველებმა.

სენაკის მუნიციპალიტეტის გაზეთ „კოლხეთის" 95 წლის იუბილისადმი მიძღვნილი წერილები დაიბეჭდა გაზეთ „კვირის პალიტრაში", რეგიონალურ გაზეთებში, მომზადდა სიუჟეტი გაზეთის განვლილ ცხოვრებაზე სენაკის დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ეგრისის" მიერ. „კოლხეთის" შემოქმედებითი მუშაკების ძალისხმევით გამოვიდა თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი სპეციალური საიუბილეო ნომერი.

გაგრძელება მეორე გვერდზე

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ჩართულობა პროგრამაში

ა(ა)იპ სენაკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები და სკრინინგები. აპრილის თვეში ჩატარდა იმუნიზაციის კვირეული. განხორციელებული პროგრამების და გეგმების შესახებ გვესაუბრა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ქალბატონი ანა ჭიჭადუა.

ჩვენი ცენტრი ჩართულია „ჩ“ ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში. ვახორციელებთ „ჩ“ ჰეპატიტის სკრინინგს (აღრიცხვა ხდება ელექტრონულად ჯანდაცვის პორტალზე). „ჩ“ ჰეპატიტის დადებითის შემთხვევის აღმოჩენისას ხდება მისი ადვოკატირება და მართვა შემდგომი დიაგნოსტირებისათვის,ასევე ჩართვა „ჩ“ ჰეპატიტის სახელმწიფო სამკურნალო პროგრამაში. ასევე ხდება იმ პაციენტების მოძიება, რომელსაც აღმოაჩნდათ „ჩ“ ჰეპატიტი და არ ჩართულან მკურნალობის პროგრამაში.

სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ჩართულია დაავადებათა კონტროლისა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილ პილოტურ პროექტში, რომლის მიზანია: „ტუბერკულიოზის, აივ-ინფექცია შიდსის, „ჩ“ ჰეპატიტის სკრინინგის ინტეგრირება პირველად ჯანდაცვაში და პარტნიორობის განვითარება ადრეული გამოვლენისთვის“

როგორც მოგეხსენებათ აპრილის ბოლო კვირას ჩატარდა იმუნიზაციის კვირეული. კვირეულის ფარგლებში შედგა სამუშაო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა: საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ორგანიზაციული ჯგუფის შეხვედას ამცრელი დაწესებულების ხელმძღვანელებთან, სხვასხვა პრობლემური საკითხის განხილვის მიზნით. აგრეთვე მომზადდა და გაშუქდა მასალა ადგილობრივ პრესასა და ტელევიზიაში. იმუნიზაციის კვირეულის მიმდინარეობის პერიოდში ინფორმაცია მიეწოდა ადგილობრივ თვითმმართველობას ქალაქის მერს ბატონ ლევან კუპრეიშვილს. მოხდა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან შეხვედრა. აღმზრდელებს დაურიგდათ ბუკლეტები სლოგანით „აცერი და დაიცავი“ და სხვა საილუსტრაციო მასალა. იგივე მასალა დაურიგდათ სოფლის საექიმო ამბულატორიის ხელმძღვანელებს. აღნიშნული მასალა მოთავსდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის გვერდზე. კვირეულის გეგმასა და მიმდინარეობაზე მასალა გადაეგზავნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის რეგიონალურ სამსახურს.

ჯანდაცვის ცენტრში ფუნქციონირებს პარაზიტოლოგიური განყოფილება. სადაც შეიძლება გამოკვლევა ჰელმინთებზე. ამ განყოფილების მიერ ხდება პაციენტების მიღება და ვაწარმოებთ მათ დიაგნოსტირებას ფიულებორნის მეთოდით და მკურნალობას.

დაავადებათა კონტროლის მიერ ეროვნული ცენტრი გვაწვდის ანტიჰელმინთოზურ პრეპარატებს,რომელსაც ვიყენებთ პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების სამკურნალოდ. გარდა ამისა წელიწადში 2-ჯერ ხდება მასობრივი გამოკვლევა სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ენტერობიოზზე და მათი მკურნალობა, პრეპარატის დარიგება. აღრიცხვა და ვადიანობის კონტროლი.

მოსახლეობაში დეჰელმინთიზაცია ასკარიდაზე და ტრიქოცეფალოზზე, მათი გამოვლინება და მკურნალობა მნიშვნელოვანი ფუნქციაა ექიმ- პარაზიტოლოგისთვის. განსაკუთრებით საშიშ ჰელმინთოზებზე, როგორიცაა ტენიარინქოზი, ტრიქინელოზი აუცილებელია მოსახლეობის გამოკვლევა პროგლოტიდების გამოყოფაზე, გამოკითხვით და გამოვლინებული ავადმყოფების კონტროლზე აყვანა, ვეტერინალური სამსახურისთვის შემთხვევების შეტყობინება.

ვახდენთ მოსახლეობის (10%) ლაბორატორიულ გამოკვლევას სისხლის სქელი წვეთით გიმზა-რომანოვსკის მეთოდით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ყოველთვის აქტიურად არის და იქნება ჩართული ახალი პროგრამებისა და სკრინინგების განხორციელებაში.

მარიკა მიქაბერიძე

სპორტი

ძიუდო

2018 წლის 28-29 აპრილს ქ. ზუგდიდში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში „კოლხეთის თასი 2018”, სადაც მონაწილეობას ღებულობდა მთელი საქართველო, ასევე რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, აფხაზეთის სპორტსმენები.

სენაკის სასპორტო გაერთიანების, სახეობა ძიუდოს სპორტსმენებმა ძალიან კარგად იასპარეზეს და დაიკავეს შემდეგი საპრიზო ადგილები.

პირველი ადგილი დაიკავეს ანანო კინწურაშვილმა (37 კგ. 2008 წ.) და ალექსი გულუამ(24 კგ. 2009.), მესამე ადგილი დაიკავა აკაკი ჯიშკარიანმა (24 კგ. 2009 წ.)

ვულოცავთ სენაკის სასპორტო სკოლის სპორტსმენებს ამ დიდ გამარჯვებას და მომავალშიც ვუსურვებთ მრავალჯერ ესახელებინოთ ჩვენი მუნიციპალიტეტი. (მწვრთნელები გელა ხარბედია, უნა ჯღარკავა)

მსოფლიო ჩემპიონი გრემპლინგში სენაკელია

ქართლოს ოჩიგავა სენაკის სასპორტო სკოლის აღზრდილია. ქართლოსი არის საქართველოს ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (მწვრთნელი ვალერი მურღულია).

ახლახან იტალიის ქალაქ მილანში გამართულ ჩემპიონატზე გრემპლინგში (არაოლიმპიური სპორტის სახეობა) ქართველმა სპორტსმენმა ქართლოს ოჩიგავამ (მწვრთნელი კობა ოჩიგავა) გაიმარჯვა.

ქართლოსმა 80 კგ. წონით კატეგორიაში პირველ წრეში მასპინძელ სპორტსმენებს, მეორეში რუს მეტოქეს, ნახევარფინალში კი ფრანგ სპორტსმენს სძლია და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ეს არის ქართველი სპორტსმენის პირველი გამარჯვება სპორტის სახეობა გრემპლინგში.

ქართლოსი 28 წლისაა ნიჭიერ ახალგაზრდა სპორტსმენს წინ მრავალი ტურნირი ელოდება, იგი კვლავაც არაერთ წარმატებას მიაღწევს.

გაზეთ „კოლხეთის” რედაქცია ულოცავს სენაკელ სპორტსმენს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას და უსურვებს მორიგ წარმატებებს.

მამუკა ბაბილუა,
სასპორტო გაერთიანების სასპორტო
სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

ხსოვნა

ვიაჩესლავ (სლავა) გარუჩავა

ნათესავების და ახლობლების პატივისცემა იყო ვიაჩესლავ(სლავა) გარუჩავას პიროვნული თვისება.

ოჯახის შვილობით გამორჩეული, ზრდილობიანი და თავაზიანი, მეუღლესთან მედეა წირღვავასთან ერთად მიმტევებლობისა და კაცთმოყვარეობის მაგალითით ზრდიდა შვილებს.

უმაღლესი განათლება მიიღო ქ. სარატოვის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1973 წელს სპეციალობით: საწარმოო და სამოქალაქო მშენებლობა, მიიღო ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ვიაჩესლავ გარუჩავამ იმუშავა ქვეყნის მრავალ მნიშვნელოვან ობიექტზე.

1973-78 წლებში ქ. შევჩენკოს (ყაზახეთის რესპუბლიკა) კასპის ზღვის სანაპიროს სამშენებლო სამმართველოში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებლად. ნიჭიერი პიროვნება ორჯერ დაჯილდოვდა რაციონალური წინადადებებისათვის.

1976 წელს ვ. გარუჩავა ბრუნდება ბრუნდება მშობლიურ საქართველოში და მუშაობას იწყებს სენაკში № 5 სამშენებლო ტრესტში ტექნიკური განყოფილების ინჟინრის თანამდებობაზე. 1977 წლიდან სოფლის მეურნეობის № 2 ტრესტის სამშენებლო ორგანიზაციებში იმუშავა მანამ, ვიდრე ტრესტმა არსებობა არ შეწყვიტა, რომელიც დაემთხვა ქვეყნის მმართველობაში გლობალურ ცვლილებებს.

სხვადასხვა წლებში ვიაჩესლავ გარუჩავა მუშაობდა სამტრედიის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში ტექნიკური განყოფილების ინჟინრად; გალის სამშენებლო სამმართველოში ტექნიკური განყოფილების ინჟინრად, ამავე სამშენებლო სამმართველოში მთავარ ინჟინრად; სენაკის სარაიონოთაშორისო სამშენებლო სამმართველოში მთავარ ინჟინრად. 1986 წელს ასრულებდა სამმართველოს უფროსის მოვალეობას.

1995 წელს ვ. გარუჩავამ მონაწილეობა მიიღო ომისგან დანგრეული ქ. გროზნოს (ჩეჩნეთის რესპუბლიკა) აღდგენით სამშენებლო სამუშაოებში,მუშაობდა სამუშაოთა მწარმოებლად. ყველგან, სადაც კი იმუშავა პროფესიონალიზმს და ღრმა პასუხისმგებლობას ავლენდა.

მოულოდნელად გამოჩენილმა ავადმყოფობამ ნაადრევად დაატოვებინა ეს საწუთრო.

8 ივნისს ერთი წელი სრულდება მისი გარდაცვალებიდან. სლავა გარუჩავა ისეთ ოჯახში გაიზარდა, სადაც იცოდნენ ნდობა, სიყვარული, ქართული ტრადიციების ერთგულება. მოკეთე-მოყვარეს იმედის პატარა კუნძულად ეგულებოდა გარუჩავების ოჯახი.

ნაადრევი სიკვდილით ოჯახის წევრებს, მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, ნათესავებს დაუტოვა მონატრების და სიშორის მტკივნეული განცდა.

ღმერთი ნათელში ამყოფებს მის სხივიან სულს. 8 ივნისს შევიკრიბებით მის საფლავთან, ყვავილებითა და სანთლებით მოვეფერებით სლავას ხსოვნას.

მ. ბაღათურია

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაირა ეჯიბიას, ნინო, ქეთევან, ზურიკო ცაავებს შვილის და ძმის

ლადო ზურაბის ძე ცაავას

გარდაცვალების გამო

ნოდარ ღვინჯილია



მტკივნეულია იმის გაცნობიერება, რომ უძვირფასეს და ახლობელ ადამიანზე გიწევს წარსულში საუბარი.

თებერვლის ავბედით საღამოს წინდაუხედავი ადამიანის დაუდევრობამ და გაუფრთხილებლობამ შეიწირა ნოდარ ღვინჯილიას სიცოცხლე. ნოდარი სითბოს, სიხარულს, იმედს თესდა ახლობლებში, მეგობრებში. იყო მოსიყვარულე ძმა, ბიძა .....დისშვილებზე ნინოზე, ნონაზე და ბადრიზე ზრუნვაში ათენ-აღამებდა. ბავშვივით მიამიტი იყო პატარა ნიკოლოზთან, მასთან თამაშში და მოფერებაში პოულობდა სულიერ სიმშვიდეს.

ახლობლების ჭირისა და ლხინის ბოლომდე გამზიარებელი იხარჯებოდა ირგვლივ მყოფთათვის.

მეგობრებს და ახლობლებს მოწყენის ნებას არ აძლევდა, ყველას ღიმილით ხვდებოდა, გამტანი და შეუპოვარი მეგობარი საკუთარ მხრებს შეაშველებდა ახლობლებისა და მეგობრების ტვირთს.

წარმოუდგენლად მძიმეა ნოდარ ღვინჯილიას ყურადღებას და უსაზღვრო სითბოს ნაჩვევი დისთვის, დეიდისთვის, დისშვილებისთვის, მათი ოჯახებისთვის მის ტრაგიკულ სიკვდილთან შეგუება.

ძვირფასი ადამიანის მონატრების და არყოფნის დიდი ტკივილი ყოველ ფეხის ნაბიჯზე თან გვდევს.

სიცოცხლით სავსე, ენერგიული, შრომაში დაუღალავი კაცი დააკლდა არა მარტო ახლობლებს, არამედ „ენერგოპროჯორჯიას“ კოლექტივს, სადაც 30 წელი თავდადებით იმუშავა. იგი თავის მრავალწლიან პროფესიულ გამოცდილებას უზიარებდა თანამშრომლებს. საოცრად მოსიყვარულე და გულისხმიერ პიროვნებას ცრემლით იხსენებენ კოლეგები.

ჩვენო კეთილო და მოსიყვარულე ნოდარ, რა ნაადრევად გაგიჩერეს შენი სიცოცხლის საათი და შენი წილი წუთისოფელი. დასანანია, რომ შთამომავალი არ დაგვრჩა შენგან, თუმცა შენი სახელი მუდამ ჩაუმქრალ კელაპტრად ენთება ჩვენს გულებში. თაფლის სანთლები, ყვავილები და ქვაში გაცხადებული სახე გვაგონებს შენს გულისხმიერებას და სიყვარულს ახლობლებისადმი.

ნათელში იყავ!

ნელი ჯანჯავა

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი შულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ. ფოთში შპს „ირიდა“-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 5 (493) 22 24 33

მილოცვა

საალიო საზოგადოებამ „არქეოპოლისის" დამფუძნებელს, მცონ დემურ გადელიას!

საალიო საზოგადოება „არქეოპოლისის" თანამშრომლები გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს 27 მაისს, თქვენს ცხოვრებაში ყველაზე ლამაზ და გამორჩეულ დღეს.

დღეგრძელობასა და ჯანმრთელობას გისურვებთ. ბედნიერება და სიხარული არ მოუშალოს ღმერთმა თქვენს ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებსა და ახლობლებს.

არსდროს მოგკლებოდეთ ადამიანთა სიყვარული და მადლიერება. ეს ყველაზე დიდი ჯილდოა, რომელიც ნამდვილად დაიმსახურეთ. თქვენი განვლილი შინაარსიანი ცხოვრება ხომ მაგალითია მაღალი ზნეობის, კაცურკაცობის, ერთგულების, საქმისადმი თავდადების, მოყვასისადმი სიყვარულის და თანადგომის.

დაუოკებელი მიზანსწრაფვის, სიმტკიცისა და შრომისმოყვარეობის ჭეშმარიტი მაგალითია მდინარე ტეხურის პირას ცარიელ მინდორზე თქვენი რუდუნებით დაფუძნებული საწარმო, რომელიც დღეს ისტორიული „არქოპოლისის" სახელს ატარებს და კონკურენტუნარიანია ქვეყნის მასშტაბით.

გვეამაყება, რომ ჩვენც ამ დიდებული საწარმოს კოლექტივს წარმოვადგენთ და თქვენი ძალისხმევით ვიღვწვით მისი აღმშენებლობისათვის, სწორედ თქვენმა შრომისმოყვარეობამ და მაღალმა პროფესიონალიზმმა, მომთხოვნელობამ და თანადგომამ გვასწავლა ერთმანეთის სიყვარული, საწარმოს სახელისა და ღირსების გაფრთხილება.

კარგი ქენი, ქვას დადევი, გაიარე – წინ დაგხვდებაო- გვმოძღვრავს ერთი ქართული ანდაზა. ეს ანდაზა თქვენი ცხოვრების დევიზია, ქველმოქმედება კი შინაგანი მოთხოვნილება.

თქვენ ხომ სიკეთესთან ერთად უფალმა დაგანათლაო განსაცდელში მყოფი ადამიანებისადმი დახმარებისა და სულიერი ცხოვრების აღორძინებისათვის ხელშეწყობის საოცარი უნარი.

თქვენ საქვეყნო საქმისათვის ხართ გაჩენილი, რის გამო არსთა გამრიგემ ერისკაცობა დაგანათლათ.

როგორც წარმოების ნიჭიერმა ორგანიზატორმა და აღიარებულმა ქველმოქმედმა, ორი მოწვევის პარლამენტის დეპუტატმა, მრავალი წიგნისა და მონოგრაფიის ავტორმა, ორგზის ღირსების და წმინდა ნიკოლოზის ორდენების კავალერმა, საქართველოს მრავალგზის საპატიო და დამსახურებულმა მეგზავემ, სენაკისა და ზუგდიდის საპატიო მოქალაქემ და სხვა მრავალი რეგალიების მფლობელმა-საზოგადოების მხრიდან პატივისცემა და აღიარება დამსახურებულად მოიპოვეთ.

საქმე, რასაც თქვენ უძღვებით საშვილიშვილოა, რადგან ეს ყველას სჭირდება, რომ ამ გზებით მომავლის საქართველოსკენ, მისი გამთლიანებისა და გაძლიერებისაკენ მივაბიჯებთ.

მხნედ და დიდხანს გვეყოლეთ, თქვენ ქვეყანას სჭირდებით.

ღმერთმა მრავალჯერ მოგვალოცინოს თქვენთვის დაბადების დღე.

გვიყვარხართ, პატივს გცემთ, გვეიმედებით.

უღრმესი პატივისცემით სს „არქეოპოლისის" თანამშრომლები

დასაფასებელია თქვენი თანადგომა

მეცენატი და ქველმოქმედი ბატონი დემურ გადელია „კოლხეთის" საპატიო რესპოდენტია, იგი მუდამ მზად არის პრესასთან თანამშრომლობისათვის, განსაკუთრებით დასაფასებელია მისი თანადგომა და გულისხმიერება ჟურნალისტებისადმი. ჟურნალისტების ქომაგს, კულტურული მემკვიდრეობის უანგარო დამცველს, შემოქმედებითი ინტელიგენციის მხარში მდგომ პიროვნებას, მრავალთა ჭირისა და ლხინის გამთავისებელ კაცს, ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ "ჟამს გრძელს", წარმატებულ დღეებს, ახალგაზრდულ შემართებას.

ბედნიერება ნუ მოუშალოს ღმერთმა მის ფესვმაგარ ფუძეს. ერთადერთი ვაჟის დავით გადელიას ოჯახს, შვილიშვილებს გზას უნათებდეთ სახელოვანი მამის და ბაბუას მიერ გაცემული სიკეთის მადლი.

ბატონო დემურ! მრავალ დაბადების დღეს დაესწარით თქვენს ლამაზ ოჯახთან და ახლობელ ადამიანებთან ერთად.

პატივისცემით გაზეთ „კოლხეთის" რედაქციის მუშაკები

ახალი წიგნები



გამოვიდა სამუსიკო ხელოვნების დარგის დამსახურებული მუშაკის ლია ქობალავას და ღვაწლმოსილი მშენებლის ზაირა ფაჩულიას წიგნი „ჩვენი მშობლების სენაკი", რომელიც მიეძღვნა სენაკის მუნიციპალიტეტის აღმშენებლობის ისტორიას. წიგნის ავტორებმა იგი მიუძღვნეს თავიანთი მშობლების ხსოვნას.

წიგნში თავმოყრილია საინტერესო ინფორმაცია სენაკის გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე, ისტორიულ და კულტურულ ტერიტორიებზე, სამშენებლო ობიექტებზე, მშენებლობის დარგის მოღვაწე ადამიანებზე.

როგორც ცნობილია პირველი სამრეწველო ობიექტები დასავლეთ საქართველოში სწორედ სენაკში აშენდა. ეს იყო აგურ-კრამიტის ქარხანა. აქ დამზადებული აგურებით გალამაზდა და გაიშალა ჩვენი ქალაქი, აშენდა ჩაის ფაბრიკა, კირის გადამამუშავებელი ქარხანა, ხალიჩების კომბინატი და მრავალი სხვა ობიექტი, რაც ხელს უწყობდა მოსახლეობის ზრდას და მათ დასაქმებას. სენაკში აღიზარდა მშენებლების არაერთი თაობა. წიგნში შეხვდებით მოგონებებს და ბიოგრაფიულ ცნობებს, როგორც გარდაცვლილ მუშაკებზე, ასევე ამჯერად მოღვაწე მშენებლებზე.

წიგნის რედაქტორია ლეილა ლემონჯავა-ხოშტარია

სენაკის საჯარო ბიბლიოთეკაში გამართულ პრეზენტაციაზე კულტურის სფეროს ხელმძღვანელმა მუშაკებმა, მშენებლებმა, ინტელიგენციამ, მკითხველებმა ისაუბრეს წიგნის მნიშვნელობაზე, როგორც ჩვენი ქალაქის ისტორიულ ნაწილზე.

დამსწრე საზოგადოებისათვის მუსიკალური ნომრები შეასრულეს ლია ქობალავას კლასის მოსწავლეებმა გ. ბარამიამ, მ. ჭანტურიამ, ნ. გვაზავამ, ე. ზარანდიამ, ა. ბესელიამ, მ. ზარანდიამ, ასევე მოწვეულმა მესამეკლასელმა ქ. გეგეჭკორმა. ნორჩი მუსიკოსების შესრულებით აჟღერდა კლასიკური საფორტეპიანო მუსიკა. წიგნის პრეზენტაციას ესწრებოდა და ავტორებს მისი გამოცემა მიულოცა სენაკის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ბერაიამ.

ვულოცავთ ავტორებს წიგნის გამოცემას, რომელიც თავისი შინაარსით გამოხატავს მშობელთა თაობისადმი პატივისცემას, მონატრებას და არდავიწყების სურვილს.

რ. კორშია

პოზიტივი და იმედი

ძვირფასო კოლეგებო, დიდი პატივისცემით გილოცავთ იუბილეს! 95 წელი - სხვადასხვა დროებაა, უამრავი სიხარული და ტკივილია, ეს კოლხეთის მატიანეა... ყველაფერია ერთად - აწმყო, დღევანდელობა და მომავალი. კიდევ დიდხანს იცოცხლოს ამ პატარა გაზეთმა, წეროს საინტერესო ადამიანებზე, ტრადიციებზე, გააშუქოს მოვლენები და ფაქტები, აჩუქოს მკითხველებს პოზიტივი და იმედი! წარმატებებს გისურვებთ!

ლალი შენგელია,
ფონდი „სოხუმის" საინფორმაციო სექტორის რედაქტორი

95 წელი–დროთა სვლაში შექმნილი მაგიანე

(დასასრული)

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია მადლობას უხდის სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს, ყველა იმ უწყებასა და დაწესებულებას, სხვადასხვა გაზეთების ჟურნალისტებს, მოსახლეობას, მკითხველებს გულთბილი სურვილებისათვის. „კოლხეთი" 100 წლის იუბილეს უფრო მეტი სიახლეებითა და შემოქმედებითი აქტივობებით, გაზრდილი ტირაჟით შეხვდება.

გვილოცავენ

95 წლისაა!

გულის სიღრმიდან ამოღებული სიტყვებით გაზეთი „კოლხეთს" ვულოცავთ 95-წლისთავს. ის, ვინც გულმოდგინებით გაეცნობა წლების მანძილზე სხვადასხვადროს ღრმა და ცეცხლოვანი განცდებით დაბეჭდილ წერილებს, იტყვის, რომ გაზეთი დახვეწილი გემოვნებითა და მეტად თავისებური სტილით, ღრმა ჰუმანიზმითა და სიცოცხლის ტრფიალით გაჟღენთილი ნაწერებით, ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით შეურცხვენელად და მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა სამშობლოსა და, საერთოდ ყოველივე იმას, რასაც ეროვნული ჰქვია. ეს კი აშკარად მიგვანიშნებს, რომ გაზეთი „კოლხეთი" იყო, არის და იქნება უბრწყინვალესი ისტორია ერის საკეთილდღეოდ ბრძოლისა და შემოქმედებით – აღმშენებლობით წვისა.

მისასალმებელია, რომ ამ ბოლო დროს ეს მცირეფორმატიანი გაზეთი თემატურად მრავალფეროვანი გახადეს, რისთვისაც ლომის წილი მიუძღვით ნინო სართანიას, მედეა ბაღათურიას, მაია გერგაიას, მარიკა მიქაბერიძეს, ჟულიეტა ჩაჩიბაიას, რომლებიც საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრების დუღილისა და მუდმივი მდინარების ორომტრიალში ლომური რიხით მყოფნი, რაინდული შემართებით უხმაუროდ აკეთებენ იმას, რაც უნდა აკეთოს ჭეშმარიტმა მამულიშვილმა. ამიტომ ძალგვიძს ვთქვათ, რომ ესენი ბრძანდებიან ზნეობრივად და სარწმუნოებრივად ამაღლებული ჩვენი დიდი წინაპრების ღირსეული შთამომავალნი.

ღმერთმა დალოცოს და აწ და მარადის მშვიდობის გზით ატაროს გაზეთი „კოლხეთი" და მისი თანამშრომლები მრავალგზის ჯვარცმული და მრავალჯერ ფენიქსებრ მკვდრეთით აღმდგარი წმ. მარადქალწულ მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოსა და ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქართველი ერის მედროშედ!

ამინ!

ჟორა სორდია

გილოცავთ!

იყო დრო (არც ისე შორეულ წარსულში), როცა ყოველი ოჯახი მოუთმენლად ელოდა ფოსტალიონს, რომ შრომით თუ განცდით მაშვრალ ადამიანს ახალ ჟურნალ-გაზეთებით მოტანილი საინტერესო ამბებით გაეხალისებინა ყოველდღიურობა...

გაზეთი „კოლხეთი" კი განსაკუთრებული იყო ჩემი ოჯახისათვის, რადგან სამსახურეობრივი მოვალეობით (მეუღლე სამხედრო პირი იყო) სხვადასხვა რაიონში გვიხდებოდა ცხოვრება. მე კი, როგორც ჟურნალისტი, იმავე რაიონების რედაქციებში ვმუშაობდი. მხოლოდ შაბათ-კვირას ვიყავით სენაკში და შინ დაბრუნებულებს მაშინვე მოგვართმევდნენ ხოლმე იმ კვირის „კოლხეთის" ნომრებს. მეუღლე კმაყოფილებით კითხულობდა მშობლიური რაიონის ახალ ამბებს. მე კი როგორც ჟურნალისტს (სხვა რაიონის რაიონული გაზეთის რედაქციის თანამშრომელს) თავისებურად მაინტერესებდა ყოველი სტატია, მაგრამ განსაკუთრებული გულისყურით და სიყვარულით ვკითხულობდი ქალბატონი გოგოლა მზარელუას ნარკვევებს (ნურავინ ნუ მიწყენს ამ მიკერძოებას" -- ეს ალბათ განპირობებული იყო იმით, რომ მეც ნარკვევებით, ჩანახატებით მიყვარდა ხოლმე მკითხველთან საუბარი).

ასე რომ „კოლხეთი" ჩემთვის ყოველთვის იყო საინტერესო გაზეთი და დღეს განსაკუთრებით ვაფასებ რომ თანამედროვე საინფორმაციო საშუალებების (პირველ რიგში ინტერნეტ სივრცე), მიუხედავად გაზეთი ამართლებს თავის სახელწოდებას და „ებრძვის" დროს! დროს, რომელიც ყველაფერს საკუთარ ყაიდაზე გადააწყობს ხოლმე და შენც (მით უფრო თუ მოქმედი ჟურნალისტი ხარ) გაიძულებს ფეხი აუწყო დროის სვლას, კარნახს და შენი ყოველი სიტყვაც დროის მიმართ მართებული და მომავლისთვის სწორად გათვლილი იყოს სხვანაირად გაუჭირდება!...

. . . და გულწრფელად ვულოცავ თითქმის საუკუნოვან იუბილეს მარადჟამს ხალხის მსახურების ვახტზე მედგრად მდგარ გაზეთ „კოლხეთს" მის ერთგულ ნიჭიერ თანამშრომლებს და ასევე ყველა ერთგულ მკითხველს!!..

კვლავაც და კვლავაც დიდიხანს ყოფილიყოს გაზეთი „კოლხეთი" მართალი სიტყვის საწყაო, მაშვრალის მომფერებელი და მომავლისთვის შუქურა!

ლეილა ლემონჯავა-ხოშტარია

თქვენი „ტრიბუნა" სამართლიანია

ცხოვრების საოცრება დრია, ზოგჯერ ულმობელი და ზოგჯერ ზეაწეული, პარადოქსულ და კონტრასტული დრო. მას ვერავინ იმორჩილებს, თითოეული და ყოველივე ემორჩილება მას. მაგრამ ჩვენმა იუბილარმა გაზეთმა „კოლხეთმა" თითქოს დაიმორჩილა იგი. გაზეთის შემართული ხასიათი, სიმხნევე და ჟინი, რედაქციაში ყოველდღიური ფუსფუსი მაფიქრებინებს ყოველივეს.

თქვენ „კოლხეთელები" ხომ ტრადიციულად ინახავდით და ინახავთ ეროვნულ სულს, სანთელს უნთებთ პიროვნების თავისუფლებას. . . თქვენი „ტრიბუნა" სამართლიანი და მოუსყიდავია. დიდი მადლობა ამისათვის.

ჩემს მიერ განვლილი შრომითი ბიოგრაფიიდან გამომდინარე, გაზეთთან მიმართებაში მოსაგონარი ნამდვილად მაქვს მრავალი ლამაზი და კეთილი დღე. გაზეთი „კოლხეთი" ხომ კულტურული ცხოვრების დიდი მემატიანეა.

სიტყვასთან შეუპოვარ ჭიდილს, ძიებას, წვდომას, მიგნებასა და შემოქმედებით წინსვლას გისურვებთ „კოლხეთელებს".

კვლავაც შემართებით გევლოთ პროფესიულ გზაზე.

დაე, მუდამ კეთილი ამბების მაცნე ყოფილიყოს გაზეთის თითოეული ნომერი მკითხველთათვის, მისი გულწრფელი გულშემატკივრებისათვის.

პატივისცემით მარინე აბრამია

ვეტერან ჟურნალისტი

მამანტი ქვარცხავა

არსებობის მანძილზე, „კოლხეთისთვის" ამოსავალი წერტილი მართალი სიტყვის სამსახური, მკითხველისთვის ობიექტური, მრავალფეროვანი, მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება იყო. მთავარი პრიორიტეტი კი ის, რომ გაზეთი ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველასთვის, როგორც ქალაქის, ისე სოფლის მკითხველისთვის, ჯერ კიდევ იმ წლებიდან მოყოლებული, როდესაც ადამიანები თვითგადარჩენისთვის იბრძოდნენ. ასე გამოიარა 95 წელი.



სხვადასხვა დროს გაზეთის რედაქტორები იყვნენ: ანტონ მზარელუა, აკაკი წირღვავა, ლუდმილა მოწერელია, მამანტი ქვარცხავა, რეზო ჯანჯღავა, ბორის შენგელია, თამაზ კანკია ....

„კოლხეთის" ამჟამინდელი ჟურნალისტებისათვის ღირებულია ის ტრადიციები, რომელსაც ღვაწლმოსილმა რედაქტორებმა და მათ შორის მამანტი ქვარცხავამ ჩაუყარეს საფუძველი.

ბატონ მამანტის მდიდარი შრომითი ბიოგრაფია გაჩნდა. საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა უბანზე უმუშავია მაღალ თანამდებობებზე და ყველგან ღირსეული კვალი დაუტოვებია. მისი ღვაწლის, კეთილსინდისიერი და პროფესიული უნარჩვევების გამოხატულება იყო საბრძოლო მამაცობისა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში გაწეული წვლილისათვის მიღებული ჯილდოები, სიგელები.

გამორჩევით უყვარდა სამეგრელო, მას საქართველოს ხერხემლად მიიჩნევდა. ჟურნალისტის უპირველეს თვისებად კი-სიმართლეს. თავად ჟურნალისტიკის სფეროში შემთხვევით არ მოხვედრილა, უჭრიდა კალამი და უყვარდა აღნიშნული პროფესია.

ერთ-ერთ ინტერვიუში თავის ცხოვრების შეფასებისას ამაგდარი პიროვნება ყველაზე ღირსსახსოვრად თვლიდა რედაქტორად მუშაობის წლებს.

-ამ პერიოდში შეხება მქონდა ყველა პროფესიის, სხვადასხვა რანგისა და წარმომავლობის ადამიანებთან. მაშინ „კოლხეთის ცისკარი" სენაკის, აბაშის, ჩხოროწყუს და მარტვილის სარაიონთაშორისო გაზეთი იყო, რომელიც ვრცლად და ფართოდ ასახავდა ხალხისა და ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების მთავარ და საარსებო პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს. დიდი ადგილი ეთმობოდა სახალხო განათლების საკითხებს, სკოლას, მასწავლებლებს, მთავრობის პოლიტიკას განათლების დარგში და აღზრდის სისტემას. რედაქციასაც ჰქონდა კომპეტენცია და იურიდიული უფლება მრავალი საჭირბოროტო საკითხი განეხილა და შესაბამისი რეაგირება მოეხდინა –იგონებდა ის.

მამანტი ქვარცხავა ფრონტის ხაზზე დგას მარცხნიდან მეორე

აკაკი ხორავა „კოლხეთის ცისკრის " რედაქციაში

მამანტი ქვარცხავა 1987 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე სენაკის რაიონის ვეტერანთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ მუშაობდა.

თაობები არ დაივიწყებენ მამანტი ქვარცხავას ღვაწლს. დასანანია, მხოლოდ ის, რომ მისი მოხსენიება მოგვიწევს ამქვეყნიდან წასულთა რიგებში. შარშან 9 მაისს, ბატონმა მამანტმა თურმე უკანასკნელად, ომახიანად მიულოცა ვეტერანებს დღესასწაული, რამდენიმე დღეში მოულოდნელად კი აღესრულა. მუდამ დინჯი, სხვისი დარდისა და მწუხარების გამზიარებელი, გულისხმიერი, მშობლიური მუნიციპალიტეტის მოჭირნახულე, ამაგდარი, იშვიათი თვისებებით, გულღია, მოსიყვარულე გულის ადამიანი ზეციური სასუფევლის ბინადარი გახდა. შთამომავლებს სამაგალითოდ დაუტოვა ღირსეულად განვლილი ცხოვრების გზა.

სანიმუშო ადამიანის სახელი მარად დარჩება მეგობრების, ახლობლების, კოლეგების ხსოვნაში.

მ.გერგაია

სენაკის მედია

ჟურნალისტები საზოგადოებაში დემოკრატიის განვითარებისათვის, ინფორმაციის დროული მიწოდებისათვის დღედაღამე დაუზოგავად იღვწიან. ჟურნალისტები ომის ქარცეცხლსაც წუთითაც არ არიდებენ თავს. ჟურნალისტების მიერ მოპოვებული ინფორმაცია, დაფიქსირებული ყოველი მოვლენა, ფაქტი, არგუმენტი, მომავალში ისტორიის ფურცლების საკუთრებაა.

ნებისმიერი ქვეყნის თუ კუთხის მედია ისტორია საერთაშორისო მედია ისტორიის ნაწილია და იგი ერთგვარად საინტერესოა ნებისმიერი ქვეყნის ჟურნალისტებისათვის. საქართველოს მედია ისტორიამ თავისი არსებობის მანძილზე ომის, დაპირისპირების, ნგრევის, შენების ურთულესი გზა გამოიარა. ამბობენ გაზეთი ერთი დღით ცოცხლობსო... თუმცა მან შექმნა ჩვენი წარსულის მატიანე. მან შემოგვინახა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ყველა კატაკლიზმის, ეროვნული სულის აღზევების და ქართული სახელმწიფოების შენების, ნგრევის, ერთგულების, ღალატის... ეპიზოდები.

სენაკის მედია ისტორია ჩვენს ხელთ არსებული მასალებით 1923 წლიდან იღებს სათავეს. თუმცა მამადე იყო პოლიგრაფიის დაფუძნება. რამეთუ ბეჭდური მედია ვერ იარსებებს პოლიგრაფიის გარეშე. ამ მხრივ უდიდესი საქმე გააკეთეს ძმებმა შიო და კონსტანტინე თავართქილაძეებმა. 1891 წელს ახალ სენაკში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივითა და მათი მხარდაჭერით გაიხსნა სტამბა და წიგნის სავაჭრო მაღაზია.

სენაკში 1923 წლის 1 მაისს გამოსულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთს ერქვა „კომუნა". 1929 წლიდან იგი იწოდება ჯერ „მთლიანი კოლექტივიზაციისაკენ", მერე „მთლიანი კოლექტივიზაცია", შემდეგ ამისა „ავანგარდი", 1962 წელს სარაიონოთაშორისო გაზეთად ფართოვდება და მას „კოლხეთის ცისკარი" ნათლავენ, 1965 წელს კი ეს გაზეთი ისევ რაიონულ ფუნქციას იბრუნებს, სახელად „კოლხეთს" იტოვებს და დღემდე ამ სახელწოდებით განაგრძნობს არსებობას.

გარდა ზემოთხსენებული გაზეთებისა სენაკის ბეჭდური მედია შემდეგ გაზეთებსაც ითვლის: „დამკვრელი მუშა", „წვევამდელი", „ენიქენდი", „მუშის ხმა", „ოქტომბრელი", „აკადემია - ინსტიტუტი", „ეგრისი", „კერძო დეტექტივი", „მოძღვარი", „მრწამსი",„პოსტკოლხა",„სენაკის თვალთახედვა", „სენაკის უწყებანი",„ტორონჯი",„ცისარტყელა"...

სენაკის პირველი გაზეთის გამოცემიდან დღემდე 95 წელი შესრულდა. ამ ხნის განმავლობაში გაზეთმა არაერთხელ იცვალა „ფერი და გემო".

1989 წლიდან საქართველოში სხვა დრო დადგა, სხვა მოთხოვნების წინაშე დადგა სენაკის მასმედიის რედკოლეგია. თუ 1923-1989 წლებში გაზეთის დევიზი, იყო „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდი!" ეროვნული მოძრაობის აღზევებიდან მის თავფურცელს ახალი პრემბულა ამშვენებს, რომელიც აღებულია აკაკი წერეთლის პოეზიიდან: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო", ხოლო მისი კრედო გახდა ენა, მამული, სარწმუნოება.



სენაკის ბეჭდვითი მედიის გაყვითლებულ ფურცლებში შემონახულია ამ ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის ისტორია. ამა თუ იმ პერიოდში არსებული კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, საზოგადოებრივ ფორმაციათა ცვლა...

დაფუძნების პირველ წლებში გაზეთს ხელს აწერდა სარედაქციო კოლეგია და გამოშვებას ურედაქტოროდ ხელმძღვანელობდნენ საგაზეთო კომიტეტის მდივნები.

სხვადასხვადროს გაზეთის რედაქტორები იყვნენ: არჩილ ებრალიძე, ანტონ მზარელუა, აკაკი წირღვავა, ლუდმილა მოწერელია, მამანტი ქვარცხავა, რეზო ჯანჯღავა, ბორის შენგელია, თამაზ კანკია. ნინო სართანია, მედეა ბაღათურია.

მინდა ამ მრავალწლიან გაზეთის რედკოლეგიას, სენაკელებს მივულოცო ეს დიდებული თარიღი. ვუსურვებ ობიექტური მედიის სახელის დამკვიდრებას. რამეთუ ყველაფერი წარამავალია გარდა განვლილი გზისა,აკი ილიამ ბრძანა: „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო", ჩვენი, მედიის სანთელ-საკმეველი ჩვენს მიერ შექმნილი მედიის ფურცლებია, საიდანაც ნათლად მოჩანს, თუ როგორ ვემსახურეთ ჩვენს ერს, ქვეყანას...

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გამცნოთ რომ ზუგდიდში შეიქმნა მედია მუზეუმი (საქართველოს მასმედიისა და პოლიგრაფიის მუზეუმი), სადაც ინახება საქართველოში გამოცემული ჟურნალ-გაზეთები, ჟურნალისტების, ფოტოკორესპონდენტების, ტელეოპერატორების, პოლიგრაფისტების ფოტომასალები, მათი საავტორო წიგნები, ნაშრომები, მემორიალური ნივთები, მედია არქივი, მინიბიბლიოთეკა. ცალკე კუთხე დაეთმო პოლიგრაფიას, რადგან პოლიგრაფიის გარეშე წარმოუდგენელია ბეჭდვითი მედია.

მედია მუზეუმის შექმნის იდეა გამომდინარეობს იქიდან, რომ საქართველოს ჰყავს ღვაწლმოსილი ჟურნალისტები, რომლებმაც თქვეს თავიანთი სიტყვა საქართველოს მედიის განვითარების თვალსაზრისით, რომელთაც დავიწყება არ ეგების. ასევე გვყავს გმირი ჟურნალისტები, რომლებიც ომში იღვწოდნენ კალმით... სამწუხაროდ, მათი სახეები და სახელები არ იცის ახალმა თაობამ. აუცილებელია შევაფასოთ საზოგადოებისათვის მათ მიერ გაწეული ღვაწლი და არ დავკარგოთ მათი სახელები.

მუზეუმში დღეისათვის 10 000-მდე სამუზეუმო ექსპონატია თავმოყრილი. ყოველდღიურად ხდება მისი შევსება ახალ-ახალი ექსპონანტებით. მინდა სენაკის ჟურნალისტებს, მედიის გულშმატკივარ მოსახლეობას ვთხოვო თქვენი წვლილი გაიღოთ ამ მუზეუმის სრულყოფისათვის. თუ დღეს არა, ხვალ უკვე გვიან იქნება ამ მიმართულებით მუშაობა, რადგან ბევრი მათგანი დღესაც კი დაკარგულია და თვეობით გვიხდება ზოგიერთი მასალის მოძიება, ზოგიერთს კი საერთოდ ვერ ვპოულობთ.

უღრმესი პატივისცემით,
მარინე დამენია.
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
საქართველოს ჟურნალისტთა
შემოქმედებითი კავშირის გამგეობის წევრი,
საქართველოს მედიამუზეუმის ფუძემდებელი